





# სუთი წლის უაღრეს

**თ**ქვენ, ალბათ, ხშირად გესმით სიტყვები „მეექვსე ხუთწლელი“, „ახალი ხუთწლიანი გეგმა“, მაგრამ ბევრმა როდი იცით, თუ რისთვის არის შედგენილი იგი და როგორი იქნება ჩვენი დიდი სამშობლო ამ ახალი ხუთწლედის ბოლოს—1960 წელს.

თქვენთვის ახლა ჩვეულებრივი ამბავია მეშვიდე სართულზე ლიფტით ასვლა, თვითმფრინავით მგზავრობა, დედამამსთან ტელეფონით საუბარი, რადიოთი სხვადასხვა საინტერესო ამბის მოსმენა. ჩვეულებრივი ამბავია აგრეთვე ფერადი ფანქრები და ქათქათა სახატავი რვეულები. მაგრამ, იცით, რამდენი შრომა და დრო დასჭირდა აღამიანს, რომ ყოველივე ამისათვის მიეღწია! მას ხომ ძველად ცარიელი ხელებით უნდა შოებოვნებინა ყველაფერი, რასაც ახლა მანქანები ძალდაუტანებლად აკეთებენ. წინათ, როდესაც საქსოვი დაზღები არ იყო მოგონილი, აი, იმგვარი ტანსაცმლის მოქსოვას, როგორიც თქვენ გაცივით, აღამიანი საკმაო ხანს ანდომებდა,

ახლა კი მანქანა ამას რამდენიმე წუთში ასრულებს. წინათ თბილისიდან წასული კაცი მოსკოვში მხოლოდ სამი თვის შემდეგ ჩადიოდა, ახლა კი თვითმფრინავით რამდენიმე საათი სჭირდება.

— თქვენი ფერადი ფანქრებიც მინდორში კი არ იზრდება ყვავილებივით! იცით, რამდენი უნდა იტრიალონ მანქანებმა, ვიდრე სხვადასხვა ფერის ფანქრები გამზადდება და კოხტად ჩალაგდება კოლოფებში; ხოლო ასწლოვანმა ფიქვებმა და ნაძვებმა კიდევ უფრო დიდი დავიდარაბა უნდა გადაიტანონ, ვიდრე უზარმაზარ ქვებში მოიხარშებიან და თქვენი სახატავი რვეულების ქათქათა ფურცლებად იქცევიან.

თუ წინათ სახლების აგებას დიდი დრო და ბევრი მუშახელი სჭირდებოდა, თუ საშენი მასალა ხალხს თავისი ზურგით ან ურმებით მიჰქონდა, ხოლო საძირკვლის ამოთხრას დიდხანს უნდებოდნენ, ახლა ყოველივე ამას მანქანა გაცილებით სწრაფად და უეცოტესად ასრულებს, ვიდრე აღამიანი.

მომავალ მეექვსე ხუთწლეულში კი კიდევ მეტი ახალი მანქანები შეიქმნება და ჩვენი ცხოვრებაც უფრო გააღვიძდება.

რომ წარმოვიდგინოთ, რა დახმარებას გაუწევს მანქანები ადამიანებს, მოდით, გავუსწროთ დროს და შევადლოთ 1960 წლის კარი.

შევიდეთ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში. საამისოდ შორს წასვლა არ დაგვიკირდება, რადგან ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში ორ-ნახევარჯერ მეტი საბავშვო ბაღი იქნება, ვიდრე ახლა. აი, პირველ სართულზე მოთავსებული სამზარეულოც! თქვენ, ალბათ, უკან დაიხევთ, რადგან ოთახში დადგმული მანქანები გაფიქრებინებთ, ქარხანაში ხომ არ მოვხვდითო? ამ სამზარეულოში მომუშავე მანქანები სხვადასხვა საქმეს აკეთებენ: ერთი პურსა ჭრის, მეორე ქურჭელს რეცხავს, დანარჩენები კარტოფილს ფეკენიან, ხორცს კეპავენ, ბოსტნეულს არჩევენ.

მზარეული რაღას აკეთებს?—იკითხავთ ალბათ. ის თვალყურს ადევნებს ამ მანქანა-ავტომატების მუშაობას და დროდადრო სადილის გემოსაც სინჯავს; აქ კი მანქანა ადამიანის მაგივრობას ვერ შესძლებს. მანქანები ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა მხრივაც გაუადვილებენ შრომას.




მეექვსე ხუთწლედში თბილისში გამოიყვანენ გაზსადენს. გაზი საწვავი ნივთიერებაა. მას თბილისის მოსახლეობა ქალაქ გროზნოდან მიიღებს. ჩვენი გაზსადენის მშენებლებს სამუშაო ბევრი ექნებათ, რადგან თბილისიდან გროზნომდე მიღები უნდა გაიყვანონ. გაზი ამ მიღებით წამოვა გროზნოდან და ყველა თქვენგანის სამზარეულოში დადგმულ ქურას ან აბაზანას სულ რამდენიმე წამში გაახურებს. ისე რომ თქვენს დედებს კიდევ უფრო გაუადვილდებათ საოჯახო საქმეები და მეტი დრო დარჩებათ თქვენთვისაც.

მეექვსე ხუთწლედში უფრო დიდი რაოდენობით დამზადდება რადიომიმღებები, ტელევიზორები, ავეჯი, ქსოვილები, ქაღალდი ჟურნალ-გაზეთებისა და სურათებიანი წიგნებისათვის. ღრმაღლეში აიგება მაცივრების ქარხანა.

განა ცხადი არ არის, რომ ახალი მანქანების გარეშე კოლმეურნეებს გაუჭირდებათ ყამირი და ურწყავი მიწების დამუშავება, რომლებიც

მომავალში ხორბლეულის უხვი მოსავლის წყარო უნდა გახდეს. ურწყავი და ყამირი მიწები კი ჩვენში იმდენია, რომ მათი ფართობი სიდიდით ზოგიერთ სახელმწიფოსაც აღემატება. ამიტომაც სულ უფრო დიდი რაოდენობით გამოუშვებენ ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა ახალ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომლებიც ადამიანის დაუხმარებლად შეასრულებენ სხვადასხვა რთულ სამუშაოებს.

დღეს ისეთი მანქანებიც არის გამოგონილი, რომლებსაც საუკეთესო მათემატიკოსებზე სწრაფად შეუძლიათ გამოთვალონ ურთულესი ამოცანები და მაგალითები. ეს მანქანა რამდენიმე წუთში ამოხსნის იმ ამოცანებსა და მაგალითებსაც, რაც მეხუთე ან მეექვსე კლასის არითმეტიკის სახელმძღვანელოშია შეტანილი. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ზოგიერთ ზარმაც მოსწავლეს ამით საბოლოოდ ეშველება და მის მაგიერ მაგალითებს მანქანა გამოიყვანს! ამ მანქანებს იმისთვის როდი სცალიათ, რომ თავი მოუყარონ ძილის წინ ლოგინთან მიღებულ ფეხსაცმელსა და უწესრიგოდ დაყრილ ტანსაცმელს?! იგი არც ხელპირის დაბანაში გამოადგება ამ ზარმაცებს და არც მათ მაგივრად გაიხეხავს კბილებს.



ახალ მანქანებს სხვა უფრო დიდი საქმეები უცდის: ისინი მუშაობაში უნდა დაეხმარონ ინჟინრებსა და ასტრონომებს, პოლარულ მოგზაურებსა და მფრინავებს, პურის მცხოვლებსა და შოკოლადის დამამზადებლებს. ისინი მიგდებულ ტანსაცმელს არ მოგაწოდებენ, მაგრამ თქვენი ტანსაცმლისათვის ქვანახშირიდან და მინიდან უკვე ამზადებენ და მომავალშიც დაამზადებენ ქსოვილებს. დიახ! სწორედ იმგვარი მინიდან, თქვენ რომ ბურთის თამაშის დროს ხშირად ჩაგიმტვრევიათ.

ადამიანები დააოყებენ აგრეთვე მთის ჩქარი და უხვი მდინარეების ძალას, ელექტროენერგიად გარდაქმნიან და ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს მიაწოდებენ. ვანათდება ყველაზე შორეული სოფლები და ყველა კომუნურნობაში უბრალო სამქედლო და წისქვილიც ელექტროძალით იმუშავებს.


არც ის დღე არის შორს, როდესაც ქვანახშირის, ნავთობის და გაზის ნაცვლად გამოიყენებენ სათბობის სრულიად

ახალ სახეს—ატომურ ენერგიას. თუ ხელა ქალაქის გასათბობად საჭიროა ქვანახშირით დატვირთული უამრავი ვაგონი, მაშინ დღე-ღამის განმავლობაში ყველაზე დიდი ქალაქის გასანათებლად და გასათბობად საკმარისი იქნება სულ მცირე ატომური სათბობი. ეს სათბობი თქვენს სათამაშო კოლოფშიც კი ჩაეტეოდა.

ერთი კოლოფი სათბობით მთელი ქალაქის გათბობა-ვანათება! ვერც ერთი ძველი ზღაპარი ვერ წარმოიდგენდა ამას, —ჩვენი სამშობლოს ხვალისდელი დღის სურათს.

საბჭოთა ხალხმა გაუსწრო დროს. შეცვალა ბუნება და მალე, ალბათ, დღევანდელი რუკებიც მოძველებული მოგვეჩვენება. 1960 წლისათვის ამ რუკებზე დავინახავთ ახალ ქალაქებსა და სოფლებს; მდინარეებს, რომლებსაც მხარი შეუცვლიათ და ახალ კალაპოტში მიედინებიან; ტუნდრისა და ტაიგის მღუმარე ველებში აიმართება უზარმაზარი ქარხნები, გაჩნდება ახალი ნაცსადგურები. მაშინ თქვენც უკვე სკოლაში ივლით და გაცილებით მეტი რამ გექნებათ მოსაყოლი და რუკაზე საჩვენებელი, ვიდრე იმ ბავშვებს, რომლებიც ახლა სწავლობენ.

ბ. ნალაიკივილი  
ნახატები შ. მხალაქიშა



# მეჯიბრება სირბილში

შეგროვდნენ კოვო-ბიჭები  
და ორ ბანაკად ღვეტიან;  
დღეს მოედანზე ერთმანეთს  
სირბილში ეჯიბრებიან.

უცბად დეიდა თამარმა  
გამოიძახა წვეილები;  
ავერ რუსიკო, თამაზი,  
რბენაში კამოწვრთნილები.

ნიშანი მისცეს და ადვილს  
მოსწუდნენ ქარივით მალეები;  
მათ აედევნა მრავალი  
მაყურებელის თვალები.

მეორე წვეილიც დაიძრა,  
შხიას წინ უსწრებს მახარე,  
ისე მიფრინავს ქარივით,  
მიწას ფეხს ატყ კი ავარებს.

ჰა, კიდევ რიგში ჩამდგარან,  
შესდეთ, რა წვეილებია!  
რა მარდი გოგონებია,  
რა მარდი ემწვილებია!





# მესათე

2. თომაძე

ნახატები რ. ხაშვირძისა

— ეს ბიჭი მთელი დღე კოდალასა-  
ვით აკაკუნებს, ვეღარსად გამივლია.  
ყველგან ბურბუშელა და ნახერხი ყრია.  
—ჯავრობდა დიდელა და გრძელი კაბის  
ბოლოს გულმოდგინედ იფერთხავდა.

ცალ მუხლზე დაჩოქილმა კობამ  
წარბებს ქვემოდან გახედა დიდელას.  
ფანქარი ნამდვილი ოსტატით გაერქო  
ყურთან.

— მე თვითონ დავევი.—თავისთვის  
ჩაილაპარაკა მან, ზეზე წამოღვა და ნა-  
ხერხი ხელით ჩამოიბერტყა. შარვალზე  
განიერი ჯიბე ჰქონდა დაკერებული.  
ჯიბეზე ხელი რომ მოუხვდა, იქ რაღა-  
ცამ ყრულ დაიხსრიალა.

— ერთი ამას უყურეთ! მთელი სახე-  
ლოსნო დააქვს ჯიბით.—გაეღიმა დიდე-  
ლას, ბურთივით დამრგვალებულ და გა-  
ბერილ ჯიბეს რომ შეხვდა.

მართლაც და რას არ ნახავთ კობას  
ჯიბეში: პატარ-პატარა ქანქიკებს, ხრახ-  
ნილებს, ნალევ ფანქარს, რეზინის ნაქ-  
რებს, კანაფს; აქა-იქ თითო-ოროჯო  
წვრილი ლურსმანიც კი უგდია.

— მეორე ჯიბეც დამიკვრეთ რა!—  
ყოველ დღე ეხვეწებოდა კობა დიდე-  
ლას,—ჩვენი ეზოს „შტაბის კაპიტანი“  
ვარ, აი, მოწმობები!—ამოულაგებდა  
ხოლმე კობა „ნორჩი მესხანძრისა“ და  
„ტყის მეგობრის“ ძველისძველ, დრო-  
გასულ წიგნაკებს,—ამათთვის ცალკე  
ჯიბე მჭირდება. ხუმრობაა, რომ დამე-  
კარგოს!

მართლაც, არ ხუმრობს ეზოს ბიჭე-  
ბის „შტაბის კაპიტანი“! მკერდზე ორი  
წითელი ვარსკვლავი მიუბნევია. მის პა-  
ტარა სახელოსნოში ხშირად მზადდება  
სახელდახელოდ ხის თოფები და ჯოხის  
ცხენები.

დიდი ხანია კობამ გადაწყვიტა, კიბე  
უნდა გაეკეთოო, რადგან საკუქნაოში  
თაროს ვერა სწვდებოდა.

სულ სკამებზე ხომ არ ვიბობდებ! მე-  
რე რამდენი რამ აწყვია იქ. დიდელა მას  
ხარახურას ეძახის, ჩემთვის კი ნამდვი-  
ლად საჭირო მასალაა: ძველი ყუთები,  
დამტვრეული სკამები.—ფიქრობდა ბიჭი.

თითქმის მთელი კვირა იმუშავა კო-

ბამ. ძლივძლივობით დაამთავრა პატარა კიბე: შეხედავ, თითქოს არა უშავს რა, გამძლეც არის. ოღონდ ერთი საფეხური ცოტა მაღალი აქვს, მეორე კი დაბალი. ზოგან ერთის მაგივრად ოთხი ლურსმანი აქვს დაკრული: მიგრეხილ-მოგრეხილიც არის. მაგრამ მაინც კიბეა და თაროზე ასვლა შეიძლება.

ერთხელ კობას ცოტაოდენი მარცხიც მოუვიდა. თუმცა სულ მისი უფროსი დის ქეთინოს ბრალი კი იყო.

— წადი მეზობელთან. გამიგე რომელი საათია, ჩვენი საათი გაჩერებულა. — შეეხვეწა ქეთინო კობას. ბიჭს ძალიან ეზარებოდა, მაგრამ უარი ვერ უთხრა დას. მასზე უფროსია და მოეხათრა.

კობამ დავალება კი შეასრულა, მაგრამ მდუმარე საათს ოსტატის თვალით გადახედა. ხელში აიღო, ჯერ გადააქნა-გადმოაქნია, მერე ერთი მაგრად შეანჯღრია და ყურთან მიიღო. საათი მაინც სდუმდა. უსათუოდ უნდა გავაკეთო, მალე მეც სწავლას დავიწყებ და დამჭირ-



დებოა. — გადაწყვიტა კობამ. საათს მაგრად დახურული სარქველი ახადა, მაგიდას მიუჯდა და თავისებურად დაუწყო ჩხიკინი. ხან რა გადაატრიალა შიგ და ხან რა. და აი, მოულოდნელად საათი ისე ძლიერად ანმაურდა, რომ კობა შეკრთა, საათის ისრებიც საოცარი სისწრაფით ამოძრავდა. რამდენი არ ეცადა შეშინებული ბიჭი, მაგრამ ვერაფრით ვერ შეაჩერა უცნაურად აწყვეტილი მალვიძარა საათი.

— ეგ რა ჰქენი! — გაუჯავრდა ქეთინო. ამ დროს კართან დიდდას ფეხის ხმა მოისმა. კობა არ დაიბნა. სწრაფად დაავლო საათს ხელი, ბალიშქვეშ შედო და თვითონ ზედ დააჯდა. იქიდან ოღნავლა მოისმოდა საათის წკრიალი. დიდდა რომ შემოვიდა. კობა სულ მოიკუნტა, მუცელზე ხელები დაიწყო და თავი ჩაქინდრა. საათის მისუსტებული ხმაური მხოლოდ მას ესმოდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა დიდდამ. ბიჭი ხმას არ იღებდა.





ნა ხელი მუცლის გარშემო კობამ. დიდამ კიკაში წამალი ჩააწვეთა და მიაწოდა.

— აბა, დალიე!

ბიჭმა ამოუსუნთქებლივ გადაპკრა წამალი. პირი და მუცელი ისე გაუხურდა, თითქოს შიგნით ცეცხლი წაუკიდესო. მაგრამ ახლა იგი არაფერს დაეძებდა. ოღონდ ეს აბეზარი საათი გაჩუმებულიყო და დიდდას არ მოეკრა ყური მისი ხმაურისათვის. მხოლოდ მაშინდა ამოისუნთქა თავისუფლად, როცა საათი სულ მიწყნარდა. თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი მოხსნესო, ისე ამოიხვნეშა კობამ.

— რა იყო?—კითხა დიდედამ.

— მომეშვა. უკვე აღარ მტკივა!— გაიმართა წელში ბიჭი.

— ბალიშზე ნუკი ზიხარ, აიღე და მუცელზე დაიდე. ქეთინო! მიხედე, მოეხმარე. ცოტა ხანს წამოაწვინე.— თქვა დიდედამ და კარი გაიხურა.

და-ძმამ ერთმანეთს შეხედეს.

— მესაათევ! გაყლაპეს თუ არა წამალი?—იცინოდა ქეთინო.

— სულ შენი ბრალია, რომ გადამეკიდე, რა დროა, რა დროა, გამიგეო,— უსაყვედურა დას კობამ, ბალიში გადასწია, საათი გამოიღო და სინანულით დააცქერდა:

— მინდოდა გამეკეთებინა, ეს კი სულ გაგიჟდა.

საათი სდუმდა. ისრებიც ერთ ადგილას იდგნენ.


— რაღა მაშინ მოუნდა ზრიალ-ზრიალი!

— ჩაიბუზღუნა კობამ და საათი ისევ თავის ადგილას დადო.

— მუცელი ასტკივდა!—წამოეშველა ქეთინო.

— რა ქამე, აბა, მითხარი! კობამ თავი ასწია. სახეზე ფერი აღარ ედო.

— არაფერი არ მიჭამია. მუცელი კი აი, ასე მივლეს...—დაატრიალა მარჯვე-





# სახეთი არმია

ს. ლიასაშიძე

ქარიშხლები გაიარე,  
ვერ გაერთობდა ცეცხლის ალი,  
მტრისგან მკურნით დაცვა  
მშობლიური მიწა-წყალი.

სასახელო, უძლეველო,  
მონობისგან დაგვიხსენი,  
წინ ზარტია მიგვიძღვება,  
მშობლიური, ბრძენთა-ბრძენი.



## მკობიხეში

ესოში რომ შემოვიდა  
კვრილა და კობტა ლალი,  
სახე ისე უბრწეინაჲდა,—  
თვალს ცვიოდა ნაწერწყალი.

დაგვანახვა ცალი ხელი,  
სუთი თითი ზაწაწინა,—  
ის ამბავი მოხდა ახლაც,  
რაც შარშან და შარშანწინა!

ნახატები მ. როინიძეილისა



## გარდაურა

დედამ შუბლი დაუგოცნა,  
მამამ ხელში აიტაცა,  
უმცროსი მამა მოგვცა  
და კისკისით შესვდა დაცა.

მიულოცეს, ჩიტებმაც კი  
სტევენა მორთეს ბაღნარიდან:  
— ჩვენი ლალი მესამედან  
მეოთხეში გადავიდა!

ა. მნელი

ა. პენსაროვა

## იურკოს მეგობრები



იურკოს სძინავს. მისი ადგომის დროა, რადგან მოსწავლეა და სკოლაში უნდა წავიდეს. მაგრამ დედა შინ არ არის და ძილისგუდას ვინ გააღვიძებს?

— ტაკ-ტაკ! ტაკ-ტაკ! — წიკწიკებს საათი. ხრრ!, ხრრ! — ხერინავს იურკო თბილ ღუმელზე მიკუნჭულ კატასავით. ნეტავ იმ კატას! რამდენ ხანსაც უნდა, იმდენს იძინებს, სკოლაში არ დადის!

— კაკ-კუკ! კაკ-კუკ! — გაისმა უცბად ოთახში.

იურკომ ჯერ მარჯვენა თვალი გაახილა, შემდეგ მეორე თვალიც გამოაქყიტა. ლოგინიდან წამოხტა, მაგრამ ვერაინ დაინახა. შეხე, ისევ აკაკუნებენ ფანჯარაზე. უჰ! — გაეცინა იურკოს, ფანჯარა გააღო და ჩიტებს საკენკი დაუყარა.



კატა ხნის შემდეგ დედაც მოვიდა და გაეხარდა. იურკოს რომ აღარ ეძინა. — აბა, გამოიციან. დედიკო, ვინ გამოაღვიძა?

დედამ იფიქრა. იფიქრა. მაგრამ ვერ გამოიციანო.

თარგმანი ჩეხურიდან ლ. ბიჭაშვილისა

## ბავშვების ჩისქვიდი

პლ. მაკშინიკ

დუღუნებს და კაკუნებს.  
მოედ ჩვენს სოფელს აპურებს.  
ყანჩაა თუ კოდალა,  
ვერ მიხვდებით ადვილად...  
მალღით წყალი მომდგარა, —  
წისქვილია ნამდვილად.



წყალს დაიტვირს ბორბალი,  
ბრუნავს, სულსაც არ ითქვამს.  
ერთი კოდი სორბალი  
რომ ერთ წამში დაგვიფიქვას.

თარგმანი ჩეხურიდან

ჯ. ჩარკვიანისა

# პატარა ცული

შარშან მამამ დათოს  
მოუტანა ცული,  
სულ პრიალი გააქვს,  
ისე კარგად უვლის.

წვიმასა და ნესტში  
არ დატოვებს კარში:  
ცულის პირს ხომ ჟანგი  
მოედება მაშინ.

შეშას ჩეხდა დათო  
და მოუხდა ასე:  
მოიქნია ცული.  
უცბად დაჰკრა ქვაზე.

გადაუტყდა ტარი.  
ამოემტვრა პირი.  
გულნატკენი დათო  
ძლივს იკავებს ტირილს.

ამ დღეში რომ ნახოს  
ეს პატარა ცული,  
მის საყვარელ მამას  
ხომ დასწყდება გული.

მაგრამ დახეთ, უცებ  
გაუარა დარდმა.  
ცულს დაავლო ხელი  
და მოჰკურცხლა მარდად.

ვინ არ იცნობს მჭედელს.  
სახელგანთქმულ დავითს.  
დათოს ხელა არის  
მისი თითო მკლავი.

შორით მოჰკრა თვალი,  
გაეხარდა დათოს,  
რომ სამჭედლოს კარი  
ღია იყო ფართოდ.

საბერველი სუნთქავს,  
ნაკვერცხლები ბრწყინავს,  
გადმოიღვს გრდემლზე  
მოელვარე რკინა.

სცემენ უროს, ჩაქუჩს.—  
ირგვლივ ცვივა ცეცხლი.  
— გამარჯობა, ძია!  
— გაგიმარჯოს, სენი! <sup>1)</sup>



<sup>1)</sup> სენია — თანამოსახელე



დურგალს ქურა არ აქვს,  
ის არ ხმარობს ნახშირს..  
მას მაგიდის ფეხი  
გამოჰყავდა ჩარხში.

ძიამ უთხრა დათოს:  
— შემოდოა შველა!  
აგერ არ მაქვს მუხა?  
აგერ არ მაქვს თელა?—

ამ დროს კულის ქნევით  
მოირბინა ცუგამ  
და პატრონთან ერთად  
ელოდება დურგალს.

ხელოსანმა მარჯვედ  
გამოთალა ტარი,  
შლაშინიც გაჰკრა,  
თან გახედა თვალით.

კულს დაუგო ტარი,  
გადახერხა სუფთად,  
ჩვენს პატარა დათოს  
მეტრ რალა უნდა!

ხელად მიხვდა ძია,  
რაც უჭირდა დათოს,  
კულს დაავლო ხელი,  
ლავაშივით ფართო.

მის საყვარელ მამას  
ეტყინება გული,  
თუ უტაროდ დახვდა  
ეს პატარა კული.

მან მადლობა დიდი  
გაღუხადა დურგალს,  
მირბის, მიაქვს კული,  
უკან მისდევს ცუგა.

და უმაღლვე ცეცხლში  
გახვია კული;  
გადაყვითლდა რკინა,  
როგორც კვერცხის გული.

გარბის ბიჭი... არც კი  
იხედება უკან,  
რომ დაუგოს ტარი,  
მიაშურა დურგალს.

გადმოიღო გრდემლზე,  
გამოკვერა ხელად.  
ანათებდა კული,  
როგორც ცისარტყელა.

ღია დახვდა დათოს  
სახელოსნოს კარიც,  
გაითლებდა ტარი,  
მისი კულის ტარი!

ჩვენი დათო მკედლის  
მადლობელი არის.  
რალა დარჩა, მალე  
კულს ექნება ტარიც.

სადურგლოში ბიჭმა  
შეაბიჯა ფართოდ.  
— გამარჯობა, ძია!  
— გაგიმარჯოს, დათო!



შპიას და ბიძინას დედამ კამფეტები მოსცა. შპიამ ისინი წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო ბიძინამ თვალი რომ შეასწრო. შპია გარეთ გამოსპარტოდა.

— აი, შპია, შეხედე, ვაშლებს ყუთი ნამდვილ მატარებელს არა ჰგავს! მთელი, ჩახსენეთ. ერთმან მატარებელია და დიდხანსა ჩვიდეთ!

შპიას მოყვანა შპის აბრი, კაბის პალთები შეისწორა და შიგ ზედად მოიკადათა. ბიძინამ შპიას ხახიათი კარგად იცუდა: საწოლზე ან სკამზე მუდომარე გოგონა ოდნავ რომ დაგერწიათ, იშუამდე თვალებს დახეპუდა და ჩაეძინებოდა. ბიძინამ შპის ჩაღის ქულიც თავზე ჩამოაფხატა, ერთმან სამგზავროდ გამოაწყო გოგონა.



— იპ, როგორ გიხედავ, დედაც კი ვერ გიცნობს.—ტაში შემოჰყარა ბიძინამ და შპიას

გვერდით მიუხედა.—აბა, შპია, ფრთხილად იყავი, მატარებელი ახლა მალე ზიდავ



გაფა და ძალიან შეტორტმანდება. კუ-კუ-უუ.— დაიყვინა ბიძინამ და ყუთი ლონიერად შეატოკა. შპიას ენამ არცაა, ჯერ გაინახა, მერე თვალები წაღულა და ძილიც მოერია. ბიძინამ ოდროვა და ხელი შპიას უბიძისკენ გააპარა.

— მავ ჭურჭობისათვის, იცი, რა ღელს დაგაყრი?—უცებ მოესმა ბიძინას მებობლის ხმა და ხელი უპარვე ცოცად წაიღო. ვგონა, რომ შიხ განზრახვას მიუხედავნი: ნამდვილად კი მებობელი ძაღლს უუაყენებოდა. ბიძინა უუთიდან ამოვიდა, დედისთან გაიქცა და აღუღვებობთ უთხრა:

— ეფიკო, შპიას ჩაეძინა, ჩქარა წამოიყვინე, კამფეტები არავინ მოსაროსო!

### ჩვენი მშვილდ-ისარი

ა. კალაშნიკი



გაბიკეთა ზაჰამ გუშინ მშვილდ-ისარი, ისხრია რუსილდის, მშვილდი შინდის არი.

მითხრა: „ბიჭო ფარნა, მარჯუდ მოხდე ცერი! აი, ვითომ, ბაგერ ის ქვა არის სკელი.

ვითომ მისდგეს პატკანს ის ფრაგე, ისა!.. დაუმიზნე, სტეორცნე, ნუ დაცდენ მიზანს!..“

დაფეშიზნე, ესტეორცნე, მოხედა, მოყვალ ძეკელი,— მოვაბორო მწვეშეებს ცხვარ-პატკანის მტერი!

### ათი ნახსი

ბ. ხანდაზმული

შპიამ კარგად იცის ქარგვა. ამოქარგა ერთი ჩიტი, დაინსულიტა ათი თითი.

ამოქარგა ერთი ნესვი, დაკარგა ათი ნესვი. შპია უკვე კარგად ქარგავს, ჩიტი კა ჩიტს შინც არ ჰგავს. ჩიტს ბაქს უწეწი, ნესვის კი—ფრთები; ნუ ხარ მენწი, კარგო პეტი,— თუ გსურს შპიამ გითხრას ლექსი, კიდევ ჰეც ერთი ნესვი.



# გამშველებელი

ბ



ბიჭები სკოლიდან მოდიოდნენ. რაღაცასე ჩხუბი მოუვიდათ. მოხდა ერთმა მეორეს ქუდი და პირს დაუხეთქა. ახლა ის წამოსწყვდა, სხვაც მიეშველა, წამიტილაფდნენ, აირივნენ. ვინ დაგვიდევს მტყუანს თუ ძართალს! გაუდის ბათქაბუთი მიწაზე დანარცხებულ ქუდებს.

უცებ ერთი ბიჭი დასხლტა. დაეღვენენ. მაგრამ ის ღობის პირას მიგდებულ ლოდზე შესტა, ქუდზე შემოწყოთილი ხელები შემუშტა და დაიძახა:

— არ გაბეღოთ!

თითქო მიწა იძრაო, ყველანი ერთ ადგილზე გაშემდნენ. მერე თავ-თავიანთი ქუდები მონახეს, დაბერტყეს და დარცხვენილებმა ხმისამოუდებლად განაგრძეს გზა.

რა მოხდა?

ქვასე ძღვარ ბიჭუნას ომში დაღუპული მამის ვახუნებული ჰილოტურა ქუდი ეხურა.



## უპადრისი ირემი



მ. შალაშვილი

ირმის რქასე შესუვდა  
 კუდვანცარა ფრინველი;  
 გავიფიქრე უცნადა,  
 ხომ არ იწყენს ირემი?  
 მაგრამ უცებ სწმინლად

დაიკვირა ირემმა,  
 შვაშინა ჩიტუნა,  
 ნეტავ რა აუვირებდა?  
 შაწაწინა ნარჩიტა  
 ხომ არ დანძიმებდა?

# დათვი და შინდი

ტყეში ერთად იდგნენ წიფელი, მუხა, წაბლი, კაკალი, შინდი, ლელვი და მრავალი სხვა ხე. შინდი ახლა რომ ბუჩქია, მაშინ სხვა ხეებისოდენა იზრდებოდა. იქ ხშირად სტუმრად დაიარებოდა დათვი. ქამდა წიწიბოს, რკოს, წაბლს, ლელვს. ყურძენივით ტკბილი პანტით პირს იგემრიელებდა. მაგრამ მოახლოვდა ზამთარი. გამოიღია საზრდო. მალე თოვლიც დადო. დათვს შესცივდა, მოშივდა. თავი რომ გადაერჩინა, ბუნავში შევიდა. იქ თბილად ჩაწვა, თათი პირში ჩაიღო და ხვრინვა ამოუშვა.

გამოედევდა გაზაფხულზე. ძილში ძალიან გამხდარიყო დათუნია, ძლივს დაბაჯბაჯებდა. რაკი ნაყოფი არსად იყო, თხრიდა კორჩიოტას სტაფილოსავით ტკბილ ბოლქვებს და ქამდა. ამით გაქონდა თავი და ნაყოფის მოსავალს უცდიდა.

ერთხელ დათუნია შინიშნა: სხვას რომ ჯერ კვირტიც არ გამოსვლოდა, შინდი უკვე აყვავებულიყო.

— დილილ-მე... დილილ-მე... — აცუნტრუდა დათუნია, — ამას რა სჯობია, რაკი შინდი ყველაზე ადრე აყვავდა, ყველაზე ადრეც დამწიფდება! — მივიდა ახლოს, შემოაცალა ტანზე ხმელი კანი, მოუგერა აბეზარი ქიანკველები. რომლებიც მის ყვავილებს წუწნიდნენ.

მერე სულაც მის ქვეშ დაესახლა. მოიწყო ბუნავი, გაიჩინა ბელები.

გავიდა გაზაფხული და ზაფხული. დადგა შემოდგომა. ბევრი სხვა ხილი მოიღია. შინდი კი ისევ მკეაზე იყო,



თუმცა ცეცხლივით წითლად ბრიალებდა.

ველარ მოითმინა დათუნია, გაბრაზდა: ჰაი, შე უმადურო, რაც მე შენ ქიანკველები მოგაცილეო! გაუძღვა წამოზრდილ შვილებს, შეაბობდნენ შინდს, დასცეს თათები ტოტებს, დაღეწეს, დაბეგვეს.

მალე ზამთარი მოვიდა. ტოტებჩამოყრილ, დასუსტებულ ხეს თოვლი დააწვა ზემოდან. სულ გაართხო მიწაზე. გაზაფხულზე შინდი ისევ აყვავდა, მაგრამ წელში კი ველარ გაიმართა, ველარ გაუსწორდა ამხანაგებს. ამიტომ იქცა სამუდამოდ ბუჩქად.





# ჩაქომ არის კიტრი

ერთ კომპოსტოს თურმე  
 დასცხა ამის წინათ,  
 გაიფოლა წველსე  
 კიტრი ზაქაწინა.  
 უთხრა: — ვინანათო,  
 თორემ ვიწვი, მცხელა! —  
 — ვინანათო! — კიტრიც  
 დავთანხმე ხელად.  
 გადამბრო კიტრმა  
 ერთდგერთი კაბა  
 და ფაშფაშა ღობილს  
 მიეხმარა სწრაფად.  
 კომპოსტოს კი უცვბ  
 ქარმა რომ არ დაჭერას,  
 ახ ორსოდი კაბა  
 ხუელ შედისეგ ბერაგს.



2 კარგულად

# ბოტყელიანი

იხდის, იხდის, წველოსს,  
 ჩაჭედოდა თურმე...  
 შევიწნული კიტრი  
 გარემებო ურიგეს;  
 ვიდრე მის მრგვალ ღობილს  
 მოსგდა ჭირის თული,  
 გააცივა საწვავლს,  
 დაჯარა სორკლი.  
 თქვა: — მე აბა-ნათა-ბანს  
 არ დდა-ფა-მეგ, არა! —  
 და ნუბიურ ღობილს  
 ნახლდი გაჭვარა.  
 ფოთლები კეკე შექერა,  
 იმაღლება, არ ჩანს...  
 ...აისი შემდეგ კიტრი  
 ბოტყელიანი დარჩა.



(გაზაქომებული ჩუხელაჯანი)


# მეღაკურა

მ თქვა: — ავად ვარ,  
 იცით ჩემი ნამალი?  
 თუ გსურთ მოვრჩე, მომბართვით



# გაჭია

ჩქთან ტრ ლებს  
 უნდა გაფინოს,  
 გამრჯე და მეტად ფრ  
 მშობლის გამგონე შვილია,  
 დედა მოუტანს საჩუქრად  
 სა და ს.



№ 231/109

ნახატები რ. იაშვილისა



ეს სათამაშოები გაკეთებულია ხისაგან, რკოსაგან, გარჩისა, კარტოფილისა და კაკლის ნაჭუჭისაგან. აბა, თქვენც გააკეთეთ!

უძის მხატვრობა ეუთუნის ალ. ზანქელაძეს  
 ოფდატორი **ოსებ ნონეშვილი**, სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოჯიაშვილი, მაცყალა შრეველაშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგაიანი, ი. სიხარულაძე, ნ. უნაჭვრევილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამოცემის ოლამეტსტრე წელი** 33სი 2 მარ

Д. В. А.—жюмевейный детектив журнал ЦК ЛКСМ Грузии № 6, июль 1966 г. Тбилиси. Протои, Плеханова 91. საბლიტბაში, რედაქციის მისამართი: თბილისი, ბუჯანაძის ქროსი, 91. ტელ. 31-37-04, გამომცემი, შუკე. № 1001 სტამბის შუკე. № 404001 ტირაჟი 15.000. უფ. მფ. ბელგორუსკირილია-დსაზაზადალ 24/VI-56 წ. ტექსტი ამუშაულია პოლიგრაფიკის მინისტრის კაბინეტის სტამბაში. ერჩნაღი დაბეჭდილია უფრად ბეჭდვის სტამბაში, მარტინოვილის 5.